



# როლანდი



E-mail: r.jalagania@mail.ru  
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№349 (408) 2-9 თებერვალი 2016 წელი სხალხო მოპრობა „სამებროლოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქი შენიკა

**ხუტგი ხაჯაია: ქსაქანი ღო ვაქვა უვიცოგავ, ქედღადრეკილთა აზროვნება, უხვალღლოგინსკენ თაქანყვაბილო ფახანყობავ და ჭოგურო თვითქაყოფილავა!!..**

**მელიცინა, როგორც ქართულ-აზნაზური ურთიერთობების აღღბენის საშუალავა**



**სვატოვლუკ ჩენი: მოგზაურობა კავკასიაში თარგმანი ალ. კაკულიასი**

**როლანდ ჯალაღანია: დანაშაულაბრივ ორგანიზაციას მხარს მხოლოდ პირნაქარღნილი დამნაშავეები უჭერან! ანუ НА ПЕРЕПРАВЕ КОНЕЙ НЕ МЕНЯЮТ!**



**რინოს კვარახელია**  
...გული დვეღფია და სული – საბერველი, დვივის სატკივარი გაუქარვებელი...  
მიწა ტკივილია, ზეცა – დაამება, მიწა სიკედილია, ზეცა – დაბადება...  
ზეცა სიმშვიდეა, მიწა რია-რია, მიწა მწუხრია და ზეცა სიზმარია...



**კონსტანტინე კაკანელი (ჭანბურაია): რენესანსი ლიტერატურაში**

მართალია, რუსთაველის ეპოქა საერთოდ არ იცნობდა ეს-თეტიკურ-ინტელექტუალური იზოღაციის პრინციპს, მაგრამ პოვეტი განსაკუთრებული თავისებურებით ხაზს უსვამს სინამღვილისა და იდეალური შესაძლებლობის ორიგინალურ კავშირს.



**იზა თაგაზაშვილი: საქართველოს მთავარი მოქავეშირა და სტრატეგიული პარტნიორი რუსეთი იქნება**



**ნაპო მუსხია – ჳიბნი, რომელმაც ავტორი უკვღავჳყო!**

ახალი ღო ვაჟა უჩიხოვავ, ქელდაჩიკილთა აზროვნებაჲ, უხვალდლობისკენ თაჲნაჲნილო ფახანოჲსაჲ და ჯოგურო თჳითჲაჲყოფილბაჲსაჲ!

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ცხადია, ზედმეტი და დაუმსახურებელი შემწეობები კაცთმოყვარეობას სცილდება და უგუნურთა წინგაუხედლობაში გადადის.

აქვე და ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გაირკვეს, რომ სიტყვის თავისუფლება, როდესაც იგი ზნეობრივ საზღვრებს მიეთარაშება, ის სიტყვის თავისუფლება კი არაა, არამედ ძალადობა გახლავთ სხვათა უფლებების წინააღმდეგ, რაც კონფლიქტის მაპროვოცირებელ პროვოკაციად ისაგნება. ასეთ დროს, აქედან გამომდინარე, შედეგებზე პასუხი ყოველმხეზგარეშე უნდა აგოს მან, ვინც ამგვარი "სიტყვის თავისუფლების" უკან დგას, ანუ პროვოკატორმა.

ამასთან დაკავშირებით, ერთიც უნდა გავიცხადო და თქვენთან ერთად ხმამაღლა ვიფიქრო: რაკილა ჩემს თითქმის ყველა წერილში შემაშფოთებელ საფრთხეებზე ასე წამოაუცვლელად ვსაუბრობ, რომლითაც "დემოკრატიული" გადაგვარებით "ცივილური" გადაშენებისკენ მიჰყავთ ქართველი ერი, იქნებ ვინმეს მოვებებო კიდევ თავი, მაგრამ რა ვქნა, როდესაც მკაფიოდ ვხედავ, რომ ხომალდი, რომელშიც 1991 წლის დეკემბრიდან ასე მოხალისედ, უჭკუოდ და წინგაუხედავად ჩასაწყობდა ქართული საზოგადოება, ტექნოკრატიული დასაყდელთის ოკეანეებში ჩაიძირება! ღმერთმა ქნას, ამ შემთხვევაში უსაშველოდ ვცდებოდე, ყველაზე უფრო მე გამახარებდა ეს შეცდომა.

არადა, საზოგადოება ვერა და ვერ ისიგრძელებს ამ საბედისწერო ხიფათსა და სათანადოდ (აღუქვებურად) არ უპირწონდება კარს მომდგარ გადაშენებლობას. ჩასაფრებულის ნიშნისმოკებით კი არა, სახელკაცის თადარიგითა და კეთილ მოსურნეობით მოგუბლავით ამას და უნდა დაიჯეროთ, რომ ჩვენს გარშემო, "ადამიანის უფლებათა დაცვის" ლოზუნგის ქვეშ, მიმდინარეობს პიროვნების (რომელსაც ვითომცდა იცავენ), საზოგადოებისა და მთლიანად ერის განადამიანება (რახნელოვქენი).

აბა, დაფიქრდით: არის თუ არა ეს ერის სიწმინდეებში ჩარწყვის თავაწყვეტილი სურვილი, როდესაც ტელეკორანიდან ამგვარი "ზუმრობა" გესმის, - "მოსწავლემ თქვა, ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის დიდი მამათმავალი იყო"-ო ან "ჩემი დედა მ..." და ასეთ ხრწნადობათა გამო დამსწრენი ტაშს უკრავენ და ხარხარებენ...

(ტელეკომპანია "რუსთავი-2", სარეკლამო რგოლი, 2014 წ. 28, 29, 30 ნომერები).

ის, რომ ასე ახარხარებულნი სიმრავლის გასწვრივ რომელიღაც თავს შეიწუხებს მიტაცებული ქართული მამულის შემონსხეულებაზე, სასურველის გახმოვანებაც არაა, რადგან ამნაირად გამოთავყვანებულ საფიხნოში ასეთი სურვილები არ იბადება. იგი აქ "მოცილილის ახირებაა".

უცხო ძალების მიერ ანექსირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), ცხინვალის მხარისა და ა. შ. დეოკუპაციას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება:

1. ამასთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი დივერსიულ-კონფაბრიკაციული სტერეოტიპებისა და ტერმინოლოგიის დემონტაჟი ჩვენს ცნობიერებიდან და პოლიტიკური მიმოქცევიდან მათი გაძევება;

2. აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის (ასევე სხვა მოწყვეტილი მიწების) შესახებ შეთითხნილი ყალბი ისტორიის გამოცხადება დანაშაულებრივ სიყალბედ და საერთაშორისო სამეცნიერო, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური წრეებისთვის საქართველოს დედანი ისტორიის საყოველთაო გასაჯარისება. მისი საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ამ რამდენიმე წლის წინ საბერძნეთის ხელისუფლებამ, სათანადო პროტესტის ნიშნით, წინააღმდეგობა გაუწია მაკედონიად თვითწოდებული სახელმწიფოს ამ სახელით გაწვევრიებაში ვეროპის საერთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მასთან გათანაბრებულ ორგანიზაციებში. თავის მხრივ, ვეროპის სახელმწიფოთა სათანადო სამსახურები იძულებული გახდნენ ზედმიწევნით გაეწიათ ანგარიში ბერძენთა დასაბუთებული მოთხოვნისათვის). და

3. პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადამიანობრივ-სარწმუნოებრივი, სახლიკაცურ-ძუძუმტეობითი, სამეურნეო, სამართლებრივ-ძალისმიერი და სხვა შესაბამისი ასპექტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება და მასზე დაფუძნებული ცნობიერების გამშობლიურება.

პირდაპირ, თავნიცემითა და გენგაშის წესით უნდა ითქვას, რომ ასეთი პოლიტიკა ჯერჯერობით "ქართულ" სახელმწიფოს არც გააჩნია და აღარც მიდრეკილებას ავლენს აქეთკენ, ამავე დროს, მისი ე. წ. საგანმანათლებლო პროგრამა ქართული გონითი განფენის სიგრძეს კვლავაც გზაკვალამრევი ხმაბოლებითი განიხილავს. უფრო მეტიც, ისინი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) "გასხვაქვეყნებას", ტექნოკრატიული დასავლეთის დაკრულზე აძრავებულები, უცხო

სტერეოტიპებითა და ტერმინოლოგიით სეპარატისტებზე უფრო გულმოდგინედ განაგრძობენ დღესაც.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მკაფიო პასუხი უნდა არსებობდეს კითხვაზე: 1. არის თუ არა დღეს ქართული საზოგადოებისთვის აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო? 2. ვისი კულტურული მემკვიდრეობაა ქართულად აღადიდებული ბედა, ილორი, მოქვი, კომანი, დრანდა, ლიხინი, ბიჭვინთა, ბესლეთის ხიდი?! 3. ვინაა ის ხალხი, რომელმაც ათასწლეულების წიაღში აფხაზეთის ხეობებს, მდინარეებს, დაბა-სოფლებს ქართული (მეგრული) სახელები შეარქვა? 4. რა ეროვნების უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელთაც მე-19 საუკუნის აფხაზეთში სახელად ერქვათ თოლისქვაში, თოლიოქრო, უჯუში, დრმიტი და ა. შ.? 5. რატომ არაა ხელმისაწვდომი და სამეცნიერო თუ პოლიტიკური მიმოქცევაში ფართოდ გასაჯარისებული აფხაზეთში ნათლობის ჩანაწერთა თუ საკომლო აღწერათა მონაცემების მიხედვით დადასტურებული ადამიანთა თავნაკარა ქართულით გაშინაარსებული გვარ-სახელები?

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კვლავაც უცხო ძალების მიერ ნაკარნახევი სტერეოტიპებითა და ტერმინოლოგიით დანაშაულებრივი განხილვის ერთ-ერთი ბოროტმოქმედული ნიშნუმი გახლავთ დღევანდელი საჯარო სკოლა, რომლის პროგრამაში, კერძოდ, მშობლიური (ქართული) ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა თუ სხვა შესაბამისი გაკვეთილებზე საქართველოს მარადიულყოფისა თუ მისი დია ჭრილობის - აფხაზეთის საკითხი კინაღამ ქილიკის დონემდეა დაყვანილი. ამ მხრივ, შესაშურ გულმოდგინებას, უვიცობაში ნაგარდის სურვილსა და დანაშაულებრივ წინგაუხედლობას ავლენს მშობლიური ლიტერატურის IX კლასის სახელმძღვანელო (ვახტანგ როდონია, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, გამომცემლობა "სწავლანი").

"... მეგრე აფხაზეთმა რომ დაგიჭირონ და გაგიმონ?  
- რათ უნდა გაგიმონ?  
- როგორ რათ, ქართველი ხარ!  
- ხო, მეგრე?  
- მეგრე მაგათ ქართველები არ ევასებათ..." (ნუშაზარ შატაიძე).

ნუგზარ შატაიძე ღმერთმა აცხონოს, მან აფხაზეთი და საქართველო სწორედ სეპარატისტულ შინაარსში წარმოსახა, რადგან, ეტყობა ან არ იცოდა ამ ქართული მხარის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს)

დედანი შინაარსი ან კიდევ თავს მოიხვია უცხო სტერეოტიპი. არაა ეს კარგი საქმე, მაგრამ დივერსიას ვერ დაარქმევ, სანამ წინამდებარე ეს ნაწარმოები მისი (აგტორის) კრებულის ბინადარია მხოლოდ, ასე სჯეროდა ამ კაცს და დაანებე თავი, მაგრამ, როდესაც სკოლაში, მოხარდს ამგვარად უშინაარსებ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ეს სულ ცოტა, უგუნურება, ქუჩის ფსკერული გემოვნება, რაც მთავარია, ბოროტმოქმედებაა, დედანი ისტორიის გაყალბებასთან ერთად. იგი მიუღებელ სტერეოტიპთა სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობაა. რა შედავათია ჩემთვის, ბესლეთის ხეობელი აფხაზისთვის (მეგრელისთვის, მაშასადამე, ქართველისთვის) მტრის საქმეს მუქთად აკეთებს ეს ხალხი თუ გასამრჯელოს იღებს ამაში?).

მე აქვე ვკითხები მათ, - ჩვენს სახელმწიფოში არის რამდენად ინსტიტუცია, რომელიც დაიცავს ჩემს აფხაზურ ე. ი. ქართულ ვინაობას? როდემდე უნდა ვისჯებოდეთ ჩვენ, ჭეშმარიტად აფხაზები, რომლებიც ჩვენს დედან ცნობიერებაში დაერწით და პასპორტში ეროვნებად ჩვენი ქართველობა დავიდასტურეთ?

როდესაც სახელმწიფოში აფხაზი ასეთი გაუცხოებით განიმარტება კვლავაც, იქ რანაირად გინდა, გაამართლო ამ მხარისათვის თავგანწირვა ან რომელი მოცილი, ამგვარ დივერსიულ სულისკვეთებაში ფეხადგმული, გაიმეტებს თავს?

მახსოვს, ამ ათი წლის წინ ჩემს შვილიშვილს - თარაშს და მის თანაკლასელებს მეორე კლასში მასწავლებელი უხსნიდა თუ რა სასტიკად მოექცნენ "აფხაზები" ქართველებს.

- აფხაზი მე ვარო, - განმარტა ბავშვმა ისე, როგორც ეს დევნილობაში, მაგრამ მაინც თავის აფხაზურ ჭერქვეშ ესმოდა... ისინი, ვინც ასე გვექცეოდნენ, სეპარატისტები არიანო, იქ მომხდარი გარეწრობა აფსუებსაც არ გაუპიროვნა მან.

- არაო, აინემა მასწავლებელმა, შენ აფხაზი არ ხარ, ქართველი ხარო!

- ქართველიც ვარ და აფხაზიცო, ეს ერთიდაიგივეო, არ დათმო თარაშმა.

- რა თავხედი ყოფილხარო, ბიჭო! განრისხდა იგი...

აი, ასეთი ცოდნითა და მსოფლმხედველობით, უფრო სწორად, ჩვენი ვინაობისადმი დამჩქეპმელური და უგუნური დამოკიდებულებით ვაყოველდღიურებთ ამ საგულე ჭრილობას.

სმრბი საჰაია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახლახან ორი წელი შესრულდა ლეგენდარული წალენჯიხელი პოეტის, საზოგადო მოღვაწის და მამულიშვილის რინოს კვარაცხელიას გარდაცვალებიდან... უფალმა გაანათლოს მისი სული...

მოდით, თავისივე ლექსებით მოვისხსენოთ ეს მადლმოსილი ადამიანი!

მამოზარ ჭარუა

ბჭარუნქ, ფსოფუნქ, მინი ცას ვობუქ, ძნელი რე ლერსიში ჭარუა, ურგადუში რაგადი დო უხარ თერიში ხარუა. ღორონთი მოჭარაფუანც, შხვაქ მიქ მუმეხვარუა. ფართო, ორქოთ, ქონებათ მითინქ გამონჯარუა, ჩქიმი ქონება სინდისი რე, ღორონთქ მუმაბარუა. რინაში დაჩხვრქე ვაშქერტასნი, შურც მუუბარუა. ჯგერი საქმეში კეთებაშენი ხანდას ვადებხარუა. შხვაში ნარდი მანარდენც, კუსაფი დო თვალუა, შხვაში ხილი მახილექ, ბირას ელუბანუა, ორგულემც ვონხუპუქ, რინა გამიმწარუა,

ჩქენი ქიანაში მოსოროფეს გურც მოუჰამუა. ლერსი იმენდო აღამირე, შური გამისქვამუა. ჩქემი დუც ბრელი რე გინნაულა გურგინი დო ვაღუა, ცას მურიცხიში მოხარცქუა, თუდო დიხაში ნწალუა, მარა იშენი შური მიდგ, დუღას ეუგვარგვალუა. ჩქემი ნარგი რინაში ნერგის პეულქ გამეოფალუა. მოთაღეფი რე ჩქემი წამალი ღორონთქ დომიხვამუა, ჩქემი გური, ჭყლირი გური თინემქ გამიხარუა. ბჭარუნქ, ფსოფუნქ, დო იფსოფუნქ, ვამოზარ ჭარუა, - ურგადუში რაგადი დო უხარ თერიში ხარუა.

მარბალი შხვაში თური რდუო

ჩქიმი დიდა საქორთუოს დუცუ გუაღუაფუდი, - მიქ რე ტყვია მოსოთენი, ვანოჩქვენო მუ ვაფუდი. თეს ჯოხონო ჯიმალობა, დუდიში ნტერო ცოფე რდილი, - მარბალი შხვაში თური რდუო, უღორონთოთ პიღენდენი.

თაში მუქ რე გახანგენი, მი მაზაკვალქ ეურთ ხუჯი, - ჯვეში მუთუნი ვაშდულო, ჭყონდიდელი დო ვარდა ქუჯი. ცოტენქ მუჭო ვაგაშინგ, გერგეზი ცოტენე დადიანქ, - მაჭყვიდალო მუჭო მორთ, მუქ ვამეწონ თაქიანქ. გრანელს ტყვია ხვადუდუო, შურიში მუ-მაფერაფაღც, ქორთუ ჯოხონო ბანდიტეფიში ჩქენდა მუმაწურაფაღც. ნერჩი ნინა მუშენი ლანდღე, საღორონთო ნანაში ნინა, თოღწკურილო გილნოყვენო, ვანოღვენო შური რჩქინა. ნოტე შხვაში თური ქოჯუას ჩქიმი გურიში მაჭყვიდალო, საქორთუოს ჯგერც დოლანცო სამარგალოში მაჭყვიდალო

ღვინთავს სატკივარი

გული დვეფოა და სული - საბერველი, ღვივის სატკივარი გაუქარეველი... მიწა ტკივილია, ზეცა - დაამება, მიწა სიკვდილია, ზეცა - დაბადება... ზეცა სიმშვიდეა, მიწა რია-რია, მიწა მწუხრია და ზეცა სიზმარია... მიწა სამარება, მიწა საზარია, ზეცა სამოთხეა, ზეცა ნარნარია... მიწა ოხვრება და ზეცა სურვილია,

ზეცა შთაგონება, ოქროცურვილია... გული დადარია. სული - საბერველი, ღვეთავს სატკივარი გაუქარეველი...

\* \* \* შენ დაგანახა შენში ღმერთი თითქოს განგებამ, რომ შორეული და გრძნეული განბი გეპოვა; ურწმუნოებას დგოთაბრივი შენში ან-გრევედა, - სიბნელისათვის შარა-გზა რომ გადაედლობა. შენში უთვლელი ძველ კოლხური სიტყვა ნეტარებს, ვით ეღვარება უძველესი ოქროს საწმისის; ჩვენი წარსული შენში ხედავს ნამდვილ მეზარეს, უბე კოლხეთის - ქართველურის ფუძე-საწყისი... წარსულმა შენში ოდინდელი იგრძნო სილაღე, მახლობელივით სასოებით თითქოს გემთხვია; დღემდე მოჯარულს შენ მუსრს ავლებ ყველა სიყალბეს, კოლხურ ნათებას ბურუსივით რომ ახვევია... კოლხეთი ღრუბელს გადაიყრის ძველს და აწინდელს, რომ საქართველო უფლის ნებით ისევ გაბრწყინდეს!



პრენესანსი საქართველოში – შოთა რუსთაველი

რუსთაველის იდეოლოგია

რუსთაველის იდეოლოგიაში მეტად საყურადღებოა დეტერმინიზმი. წუთისოფელი, რუსთაველის გავლენით, მიმდინარეობს შინაგანი აუცილებლობით. თითოეული მოვლენა, ფაქტი, განსაზღვრულია სხვა მოვლენებით, სხვა ფაქტებით. თითოეული მოვლენის ბედი დამოკიდებულია სხვა მოვლენათა ურთიერთობაზე. ადამიანის ბედიც ყოფის აუცილებლობაში მიმდინარეობს საერთო წესით. ბუნება წყაროა ყოველგვარი უბედურების და ბედნიერების. ადამიანის ცხოვრება ბრძოლა და მორჩილება-მოთმენა. ამიტომ **“გონიერი ხამს არასოდეს არ აჩქარდეს, რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს”** (537). რუსთაველის სიბრძნე გვაგონებს თ. დონტოვის სიტყვებს, წარმოთქმულს პუშკინის საფლავზე: **“Смирись, гордый человек!”** მართლაც, რა არის ადამიანის მთელი ცხოვრება? ახალგაზრდობისა ადამიანი ღვლავს და თიხის, ხოლო ცხოვრების დასასრული თავისი სიდიხითა და სიფრთხილით დაწინარება საწუთროს წინაშე.

ინდივიდუალიზმის დრმა სიბრძნის გამოხატულებაა ქალის შესახებ რუსთაველის სიტყვებშიც: **“სჯობს სიშორე ღიაცისა, მისგან ვითა დაითმობის: გილიზღებს და შეგიკეთებს, მოგიხდობს და მოგენდობის, მართ ანაზღათ გიდალატებს, გაპკევთს, რაცა დაესობის, მათ დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხოვბის”** (1077).

ოფს ზნობრივ პრინციპებს. დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ მკვლევრობა ჩადენილი ავთანდილისა და ტარიელის მიერ, გამოწვეულია არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობით. ტარიელმა მოკლა ნესტანის საქმრო, როგორც მეტოქე, ხოლო ავთანდილმა ფატმანის საყვარელი, მაგრამ არა როგორც მეტოქე, არა ფატმანის სიყვარულისათვის, არამედ იმიტომ, რომ ფატმანს სიკვდილით ემუქრებოდნენ და თუ ფატმანს მოკლავდნენ, ავთანდილი თავის მიხანს ვერ მიაღწევდა.

რუსთაველის აზრით, ცხოვრება დაუნდობლია: **“იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია”** (1343). რუსთაველი სრულებით არ ფიქრობს, რომ ცხოვრება კმაყოფილება და ბედნიერებაა; პირიქით, **“კარგი რა მტირდეს, გიგვირდეს, აგი რა საკვირველია”** (1171) – ამბობს იგი. ხშირად რუსთაველი წუთისოფელს უყურებს, როგორც სიმწრისა და ტანჯვის არენას: **“რადღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელაა?”** (36) – უცხადებს როსტეპან მეფე თავის მინისტრებს. პოეტის გონებას ეჭვი ნისლავს: **“არ მიენდობა გულითა, თუ კაცი მეცნიერია”** (1207). რუსთაველი გულუბრყვლოდ მეოცნებე კი არ არის, არამედ ნამდვილი მეცნიერი და ბრძენი, რომელმაც კარგად იცის, რომ ცხოვრება ბედნიერებასთან ერთად ტანჯავა, მაგრამ იგი მაინც არ არის პესიმისტურად განწყობილი და ცხოვრების დრმა და ბრძნული სიყვარულია გამოთქმული სიტყვებში: **“სიკვდილამე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა? რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა?”** (1187)

აქ ცხოვრების დრმა სიყვარულთან ერთად ჭკუისა და გონების პრაქტიკული მნიშვნელობაც არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ განუყენებელი, რეალობას მოწყვეტილი **“წმინდა”** გონება რუსთაველს არ სწამს, როგორც არ სწამს წმინდა ხელოვნება. მართალია, რუსთაველის ეპოქა საერთოდ არ იცნობდა ესთეტიკურ-ინტექტუალური იზოლაციის პრინციპს, მაგრამ პოეტი განსაკუთრებული თავისებურებით ხაზს უსვამს სინამდვილისა და იდეალური შესაძლებლობის ორიგინალურ კავშირს. რუსთაველი ადამიანის ფსიქოლოგიის საოცარ ცოდნას იჩენს. ორი მომენტი ავთანდილის ქცევისა, ერთი – ასმათთან, მეორე – ტარიელთან, მეტად საინტერესოა რუსთაველის მსოფლმხედ-

ველობის გამოსარკვევად. ავთანდილი არის რუსთაველის alter ego. რუსთაველი თავის სიბრძნეს და ფილოსოფიას განსაკუთრებით ავთანდილის თქმასა და ქცევაში გამოსახავს. როდესაც ავთანდილი მიუახლოვდა გამოქვებულს, სადაც ცხოვრობდა ტარიელი, შეჩერდა და დიდი ხნის ცდის შემდეგ ფრთხილად შევიდა გამოქვებულში. ქალმა, რომელიც გამოქვებულში იყო, უცნობი კაცის დანახვაზე ყვირილი დაიწყო. ბევრი ეხვეწა ავთანდილი – დაწყნარდიო, მაგრამ ამაოდ. ავთანდილს უშინოდა, ქალის ტირილს გაიგებს მოკმე და დაბრუნდებოდა. როდესაც ავთანდილი დარწმუნდა, რომ ხევწინა არ მოქმედებს, **“ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბეჭინა”** (235). ასმათს სრულებით არ შეშინებია. მოშკალი, თუ გინდა, **“ჩაღაღ მიჩნს ყოველი სოფელი, მისთვისვე შემოწონია”** (239), – ეუბნება იგი ავთანდილს. ქალის დასამშვიდებლად ავთანდილმა ყოველგვარ ცდას მიმართა, მაგრამ ასმათი არ წყნარდებოდა. ვერც დამუქრებით და ვერც თხოვნით ავთანდილმა მიხანს ვერ მიაღწია. იგი ფიქრობს რა მოიგონოს: **“სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამოჩრევა. გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა, ქალსა უთხრა: გაგარისხე, აწ, ესე თქვი, ვით დაგჩრქე, ვა! ქალი დაუჯდა კუშტგვარად, ქუშობს, ჯერთ არ დაშტკბარია; ავთანდილ ქვე ზის ტირილად, არარას მოუბარია; ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია. კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულნალმობარია”** (240-241).

ავთანდილი დარწმუნდა, რომ ქალი არც მის მუქარას, არც მის თხოვნას ყურადღებას არ აქცევს. დაჯდა და თვითონ დაიწყო ტირილი. ფიქრობს, რომ ცრემლი უფრო იმოქმედებს ქალზე, მართლაც, ერთი მხრივ, ტირის და წუხს ქალი, მეორე მხრივ – ავთანდილი. ქალი აკვირდება მტირალ ავთანდილს. ბოლომდე აცნობიერებს, რომ მიჯნურია. თანდათანობით ქალში იდვიტებს შებრალების გრძობა. **“რა ქალსა მიხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება, გულამოხვინჩით დაიწყო ასკეცათ ცრემლთა დინება”** (245).

ქალისა და, საერთოდ, ადამიანის ფსიქოლოგიის დიდი ცოდნით ავთანდილი აღწევს მიხანს. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი გამოხედვა, ყოველი ქცევა სიბრძნისა და მოხერხების შეერთებაა. პოემაში არის ადგილები, სადაც ავთანდილი გამოიყურება, როგორც გამჭრიახი გონების ადამიანი და ნამდვილი მეთოდისტი. საინტერესოა ავთანდილის შეყრა ტარიელთან, როდესაც ტარიელი ნადირობის შემდეგ ქელს გაღმა ველზე ზის და ტირის: ირგვლივ **“ლომი მოკლული და ხრმალი სისხლმოცხებული, კვლა სხვაგნით – ეფეხვი უსულო, მკვდარი, ქვედნარცხებული”** (866). ავთანდილი ფრთხილად უახლოვდება, მაგრამ ტარიელი ყურადღებას არ აქცევს, სასოწარკვეთილი, იმედღაკარგული ბოლოს პასუხობს: **“აწ დამესუნ, სიკვდილამდის, ვიტრო და თავსა ვიცე, მაგრამ გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე”** (870). ავთანდილი დარიგებას აძლევს: უმიხნოა ტირილი და ცრემლები; საჭირია ბრძოლა და არა წუხილი, ოხვრა და სევდა. **“ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქეთიკირსა”** (872). აქაც ჩვენ გვაქვს გაბრძოლების, სტოიციზმის ფილოსოფია. ავთანდილი გმობს ტარიელის ქცევას – მიწვევად ხეტილს, ადამიანის მოძულებას. მიჯნური ვინ არ ყოფილა, სიყვარულის ცეცხლი ვის არ განუცლია, ვის არ უგრძენია ტანჯვა? – **“არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებთან”** (874) – ეუბნება ავთანდილი ტარიელს. **“ვისრამიანში”** არის ერთი ადგილი, სადაც ასეთივე აზრია გამოთქმული: **“ვინც ვარდს დასთესავს და მოჭრებს, ხელს ეკალიც დაესობის”**. რუსთაველი თავისუფლად სარგებლობს **“ვისრამიანის”** მხატვრული სახეებით და თქმებით, მაგრამ მისი შემოქმედება სრულებით არ ატირებს მიბაძვით ხასიათს. თქმებსა და მეტაფორებს რუსთაველი იღებს თავისი დროის ლიტერატურული წყაროებიდან, მაგრამ მისი პოემის ყოველი ტაქტი, ამავე დროს, მანქანებელია დიდი განცდის რიტმული რხევისა, დიდი აზროვნების გაშლილი პორიზონტისა, დიდი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური დაკვირვებისა, დიდი ორიგინალობისა.

კონსტანტინე კაპანელი (გაგრძელება იქნება)

“უკრაინული WikiLeaks“-ის ახალი ჩანაწერი: “სააკაშვილი და ერლოვანის ვაში ISIS-თან ერთად აღამიანის ორბანობით ვაჭრობაში არიან ჩართულნი”

ამას წინათ ვწერდით, რომ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვის ჩართული იყო ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის ბინძურ ბიზნესში ახლახან კი გაიარკვა, რომ ეს არაქრისტიანული, უგვანო საქმე სააკაშვილების **“ოჯახური ბიზნესი”** ყოფილა და საკმაოდ წარმატებულიც.

პორტალი **УКРАИНСКИЙ WikiLeaks** ახალი აუდიოჩანაწერის სტენოგრამას აქვეყნებს, რომელიც, ავტორთა მტკიცებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეხერაშვილის საუბრის სტენოგრამას წარმოადგენს. სტენოგრამას საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერი არ ახლავს. 27 დეკემბერს გამოქვეყნებული პუბლიკაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ჯერ კეხერაშვილს ესაუბრება, შემდეგ კი თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ვაჟს, ბილალ ერდოღანს ურეკავს. საუბრის თემა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის სქემაა, რომელიც, პუბლიკაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი, დავით კეხერაშვილი, ბილალ ერდოღანი და **“ისლამური სახელმწიფოს”** ლიდერი აბუ ბაკრ ალ-ბადადი, ასევე ვინმე ძმები მაჭალიკაშვილები არიან ჩართულნი.

გთავაზობთ სტენოგრამას უცვლელად: **“სააკაშვილი** – დავით! აქ ვიყით ჯობია, იქ არ იტერს და სასწრაფოდ უნდა შევატყობინო ვე ბილალას, მელიდებო.  
**კეხერაშვილი** – როგორც გითხარი ესლა დალადა. ერთი თვის წინ ყველაფერს აკეთებდნენ თურქეთში, დატრილები პირდაპირ მიყავდათ გაზანტეპში, იქ მუშაობდნენ თურქი ტრანსპანტოლოგები, მაგრამ სუსტები არიან, უკრაინულ კამანდასთან შედარებით, ბევრი ორგანო გააფუჭეს. ესლა რაც დაიბაბა სიტუაცია რუსეთთან, აირია საქმე. რაქიაშიც (ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქი) დაზიანდა მოსამზადებელი

ცენტრი, დაიბომბა და საზღვრებზე კონტროლი გაქადაცა. სვევი ტრუპების და დატრილების გადაყვანა გართულდა, თან თურქებს ეშინიათ, რომ არ გასკდეს და მაგათ არ დაბრალდეს ორგანოებით ვაჭრობა.  
**სააკაშვილი** – მერე რა ქენით! ისლამური სახელმწიფოს იმამთან, თუ ხალიფასთან რა ქენით?  
**კეხერაშვილი** – ეს მოგვარებულია უკვე მაჭალიკაშვილებმა მოაგვარეს. ბაღდათის უთქვამს, ორგანოების საკითხი შენ ჩაიბარეო, ტყვეებს იძლევა, ვიხუც არავინ იხდის გამოსასხევიც, ხო იცი და, ასევე, ვეროპიდან ჩასულ უპატრონოდ დარჩენილ ქალებსაც აძლევს. რუსლანი ხომ გახსოვს მაგარია რა, ყველაფერი მოაგვარა უკვე ყველა რაზმში საკონტაქტო პირები ყავს, ქალების სია მოამზადა 123, ტყვეები 96 კაცი არის უკვე და ოპერატიული ჯგუფები დააკომპლექტა, მასალა რომ არ გაფუჭდეს. ამის თანხები პირველი პარტიდან დაუტოვე. რაც მთავარია ტარიფებზე შეთანხმდნენ. კარონე ხალიფას უთქვამს, რომ ამ საქმიდან დაიშის შემოსავლები უნდა გაიზარდოსო, ასევე ვინც ხოდში წავა და ოჯახები იქ ცხოვრობენ თანხა უნდა მიეცესო, დახმარებაო. ისინი დახვცილებად გამოცხადებიან იქ და ამიტომ. ეს ელისაბედა რომ გაუშვით ხალიფათში, რეალურად გეთია ხო, ტრანსპანტოლოგები კი მოამზადა, მაგრამ ორჯერ დაიჭირეს, სახეგახსნილი დაიარებოდა, მესამეჯერ რომ მოხდეს შეიძლება ჩაქლონ. ესლა მასალა რომ შეიძირდა, დაკრა ფეხი და წავიდა. რუსლანს და რამზანას ველაპარაკე გუშინ. მიშა, და ელოდებიან ელისოს და საზღვარზე გადატანის მოგვარებას.  
**სააკაშვილი** – ბილალა ერდოღანი ელდება ჩემ ზარს, მაგას თავისი გენერალი ყავს ამისთვის მზად, სპეც. მანქანები

იქნება საზღვრის გადაკვეთისთვის და თურქი სამხედროები გადაიტანენ. მაგან მოთხრა ავიგადახიდევა ადანადან მოხდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. თურქული ცენტრი აღარ იმუშავებს და რაკიაში გაკეთებული ტრანსპანტოლოგის ცენტრზე იქნება მიუღიებად ტერიტორიას, საზღვარს მარტო ორგანოები გადაკვეთავს და ადანადან ამსტერდამში წავა ძირითადი ტვირთი. ხალიფამ რაც თქვა, ყველაფერი დაუკმაყოფილეთ. ეგ სიტყვის კაცია ალბათ. შენ მოთხარი თურქეთში როდის წახვალ.  
**კეხერაშვილი** – მე ხვალვე წავალ თუ იტყვი, მოთხარი სად!  
**სააკაშვილი** – კაი მოიცა, დაურეკავე ესლა!  
– m. slam bilal bei  
– m. Yes, everything is OK.  
– m. How are you?  
– m. OK, I understand. He can come tomorrow.  
– m. OK, On Monday He will be in Inderun.  
– m. Ok, I am noting.  
– m. When David will arrive he will call your man.  
– m. Give my respect to your father mister Taip.  
– m. Ok, I ll see you in the end of January.  
**სააკაშვილი** – ეს ტელეფონის ნომერი ჩაიწერე. სტამბულში რომ იქნები მაკაცის დაურეკე და ისკანდერუნში დაგხვდება. ეგ ბილალას ახლობელი გენერალია და ამ თემაზე არის პასუხისმგებელი. ყველაფერი დალადა იქ და იცოდე მაგ ოჯახთან არ შემარტხვინო. ერდოღანმა ყირიმის თათრების დაფინანსება დაიწყო და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.  
**კეხერაშვილი** – მიშა ეს გასაგებია, მაგრამ ელისაბედი სირიაში თუ არ დაგებრუნე, არ აეწყობა ეგ საქმე. სანდრას

უთხარი, ისე არ წამოვა. რუსლანა და რამზანას დავიბარებ ისკანდერუნში და იმით ვავაყოლებ.  
**სააკაშვილი** – ვურეკავ და არ იღებს რა. გამიტრაკა რა, მეზუტება პატარა ბავშვივით. ესემესი მიგწერე და მიპასუხებს. შენ ხელა ის მოთხარი, მიახლოებით თვეში ბრუნვა 12 მილიონამდე გავგვზრდება? იქნებ გოგოების ჩაყვანა გაააქტიურეთ. ეს ექსკლუსიურ შეკვეთებს გაგვზრდის, სანდრას ესეთი შეკვეთები ბევრი აქვს, თან ქალების რეზერვი გექნება და უნარჩენოდ, კომპლექტში გაიყიდება.  
**კეხერაშვილი** – მაგაზე მეტი უნდა გამოვიდეს. გოგოების დავერობკვების თემას თუ დავაფინანსებთ ქალების რესურსი გაიზრდება და სტაბილურად განაწილებით მოთხოვნის მიხედვით. ყველაზე მეტი გოგოები რუსეთიდან და უკრაინიდან მოდის. დავერობკვების ორგანიზება უკრაინიდანაც შეიძლება. მიშა გეხვწები სანდრასთან დაარეგულირე რა, ამსტერდამის გამანაწილებელი რომ ხავეკეტოს, ეს სქემა აღარ აეწყობა.  
**სააკაშვილი** – ხომ გითხარი დაუკავშირდებო და შეგატყობინებ. შენ ელცხე უნდა შეგირეკო გააფრთხილე მაინც დღესვე, რომ სტამბულში შეგხვდეს.  
**კეხერაშვილი** – კაი, მიგხვდავ ამ საქმეს, ხვალვე წავალ, ორშაბათს ისკანდერუნში რომ ვიყო. კიდევ ხო ზურამ მოთხრა ხიდაშელს ოცნებაში ხმები არ უგროვდება და ჩვენი ფრაქციის ხმები ჭირდება.  
**სააკაშვილი** – ეს სირქალა უნდა გაიყვანოთ აუცილებლად მინისტრად. ესლა შენ საქმეს მიხედე და მოგვიანებით, ესეათის მერე ზურასთან ერთად შეეკრიბოთ. კარონე გეტყვი რა, სადაც! – **სტანოვარის დასასრული**.

ართ მარგალ მოკითხ სკაიპის – მუჭორე ქიანაშ საქმე დავით პატონ? მა უპასუხი:

ერთი მეგრული მეკითხება სკაიპში – როგორ არის ქვეყნის საქმე დავით პატონ? მე უპასუხე:

ფოთის სტალიონის მშენებელი კომპანიის დამფუძნებელი დააკავეს

ფოთის საფეხბურთო სტადიონზე ორი წლის წინ დაწყებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ამ დრომდე შეჩერებულია. კომპანიას, რომელსაც ხელისუფლების დაკვეთით სტადიონის მშენებლობა უნდა დაეწყო, გამოძიება საბიუჯეტო თანხების მითვისებას ედავება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, შპს „ხიდი“ დამფუძნებელი, თეიმურაზ ლომიძე დააკავეს. „გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „ხიდი“ უნდა მოეხდინა ქალაქში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია და მისი ვეროსტანდარტების დონეზე მოწყობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად, კონტრაქტორმა კომპანიამ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და მისმა დამფუძნებელმა თეიმურაზ ლომიძემ მითითესა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, ნახევარ მილიონზე მეტი თანხა“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში. ფოთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას განცხადებით, მერიამ კომპანიას სამუშაოების დაწყებამდე, ავანსად ჩაურიცხა 500 ათასი ლარი. მისი თქმით, ფოთის მერიამ შპს „ხიდი“ ხელშეკრულება 2015 წლის აგვისტოში გააწვირა და ავანსად მიღებული თანხის დაბრუნება მოთხოვა. შპს „ხიდი“ მეორე სამშენებლო კომპანიაა, რომელიც ფოთის მერიამ ტენდერის გზით შეარჩია, თუმცა წინამორბედის მსგავსად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ვერც მან შეძლო. ფოთის საფეხბურთო სტადიონის „კოლხეთის“ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მლნ 300 ათასი ლარის გამოყოფა იყო დაგეგმილი. 2013 წლის ოქტომბრის თვეში სტადიონის სარემონტო სამუშაოებისთვის ხელშეკრულება აღვილობრივმა ხელისუფლებამ ტენდერის შედეგად გამარჯვებულ ფორმა „ნიუ ქონსტრაქშენთან“ გააფორმა. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები 2013 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დასრულებულიყო. კომპანიამ ავანსად 500 ათასი ლარი მიიღო, თუმცა აღნიშნულ ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო. აღვილობრივმა ხელისუფლებამ სამუშაოებისთვის ვალდები რამდენჯერმე გადაწვია. 2014 წლის 30 იანვარს კი, ხელშეკრულება გააწვირა და ერთი წლის განმავლობაში სტადიონზე სამუშაოები შეჩერებული იყო. ფოთის მერიასა და „ნიუ ქონსტრაქშენს“ შორის დავას კი სასამართლო განიხილავს. კომპანია ხელისუფლებას ხელშეკრულების პირობების დარღვევასა და ვალდებულებების დასრულების დადგენილებას და ვალდებულებების დასრულებაში ადანაშაულებს. მერიამ კი ავანსის სახით მიცემული თანხის დაბრუნებას ითხოვს. ხელახალი ტენდერი მერიამ 2014 წლის ოქტომბრის თვეში გამოაცხადა და ხელშეკრულება ახალ კომპანიასთან – „ხიდი“ გააფორმა. სამუშაოების დასრულების ვალდებულებების დასრულების ვალდებულებების შესრულება ვერც აღნიშნულმა კომპანიამ შეძლო და მისი საქმიანობით სამართალდამცავი უწყება დაინტერესდა. იზა სალამაძე, საინფორმაციო სააგენტო „ლიბოპრესი“

ჩქონე ქინაქ ქინარშინუ! ჩქონე ქინაქ ქინარშინუ! გვალო გითილ წვეკერეშია! თეს ვართ ბიძინა ოხვარე, ვართი ელახანგა მიშა – სოიშა რუსი ვამურს' დო, ვამომგანა პაღურშია! ჩქი ვორეთ'ნ, თეჯგუა რინა, ვეგებირე ფანდურშია... „პოუ ნანა, სოულ ნანა? ჩელას მეპუნქ დარჩელიშა! ანარკიას აკოფხვადუთ, დლაჭვილეფი, შქა სერშია! სერ რე მარა, მტერს თეჯგუა, მურიცხ ვემიოხე ცას... კონშა ვეკითხირე ჭკუა, მი მოჭიშაფ თეჯგუა დლას! ჩქინ, უჩა დლაშ მიმაჯინე, ეშმაკიქ ეყონუა – „მის გუგონებ ამდღარ დლაშა, ოსურიში – ოსურიში, კონში – კონში გეყონუა? ქიმიოღვარ' დო ქიმიოთვალუ – „ვამკონია თქვანწკმა რინა! თქვა ქოიღუდან, თქვან სამოთხე ჯოჯოხეთის მიღლას ბინა! თქვან წაულაშ მემაჯინე, ვოლიგინა, ვობირდინა! ანწ, სი იფირქ მუჭო მეურს, თე ქიანაშ დლა დო სერი, მინს, ქა ქიგოტახეს, მინს, კინჩხი დო მინს კისერი! გვალო გითილ წვეკერეშია! თეს ვართ ბიძინა ოხვარე, ვართი ელახანგა მიშა – სოიშა რუსი ვამურს' დო, ვამომგანა პაღურშია! დავით შოთაძე, (დ.ქ.), კობლენცი, გერმანია

ჩვენმა ქვეყანამ ჩაფუტვინა! ჩვენმა ქვეყანამ ჩაფუტვინა! მთლად წვეკარაში ჩაიკრიშა! მას, ვერც ბიძინა უშეელის, ვერც შეურაცხადი მიშა – სანამ რუსი არ მოვა და ალიყური თუ არ გეთხლიშა! დღეს ჩვენ რომ ვართ, მსგავსი ყოფა, ფანდურზე არ იმდერება... „პოუ ნანა, სოულ ნანა? დარჩელისკენ მივსდევ ჩელას! ანაკლიაში შეეხვდებით, ბედკრულები თუთარჩელას! დამე არის, – მტერს ისეთი, ვარსკვლავები გაქრენ ცაზე... გადაგვარდა ეს ქვეყანა, კაცს ვერ ნახავ სრულ ჭკუაზე! ჩვენი, შავი დღის შემყურე, ეშმაქ დაკარგაო გრძობა – „ვის სმენია აქამომდე, ქალის – ქალზე შეჯვარება და კაცის – კაცზე დამყნობა?!“ შეწყვირა და მოჰყვა მოთქმას „აღარ მინდა თქვენთან ყოფნა! თქვენი იყოს ეს სამოთხე, ჯოჯოხეთში მქონდეს ბინა! თქვენი წახლობის შემყურე, გავოგნდი და ვობირდინა! ...იფირქ და შენ განსაჯე, რას გვიქადის ზეცური, ზოგს რქა დააღვწეს თავზე, ზოგს, კინჩხი და ზოგს კისერი! ჩვენმა ქვეყანამ ჩაფუტვინა! მთლად წვეკარაში ჩაიკრიშა! მას, ვერც ბიძინა უშეელის, ვერც შეურაცხადი მიშა – სანამ რუსი არ მოვა და ალიყური თუ არ გეთხლიშა! დავით შოთაძე, (დ.ქ.), კობლენცი, გერმანია

წიბნი, რომელმაც ავტორი უკვდავყო!



“თუ ერთი ადამიანი მინც გადაარჩინე სიკვდილს, შენ გადაარჩინე მთელი სამყარო” – ღალადებს ებრაელთა წმინდა წიგნი – თორა. არავინ, თვით საქვეყნო ცნობილმა დასტაქარმა ნაპო მესხიამც კი არ იცის, თუ რამდენჯერ გადაარჩინა მან სამყარო – სიკვდილის გზაზე შემდგარი რამდენი ადამიანი მოაბრუნა უკან. მისი სახელის უკვდავებისათვის ის ფაქტიც საკმარისია, როცა ომის დროს ვიღაც უჯიშო გადამთიელმა ავტობატი სასროლად მოუღირა, მასთან ერთად მყოფი აფხაზი ახალგაზრდა კი გადააფარა და ჩვენ “ბოვეიკს” უთხრა: – ამ კაცმა ჩემი ძმა გადაამრჩინა უუჭველ სიკვდილს და მას რომ თმის ღერი ჩამოუვარდეს, ცოცხლებს არ დაგტოვებთ არცერთსო! აი, როგორი ადამიანი უნდა წერდეს აფხაზეთსა და აფხაზეთზე! ამ წერილში სწორედ აფხაზეთზე გულის სისხლით დაწერილ წიგნზე, იმ წიგნზე უნდა გესაუბროთ, რომელმაც ჭეშმარიტად უკვდავებას ახიარა მისი ავტორის – ნაპო მესხიას სახელი! საკმაოდ შთაბეჭდილი მოცულობის წიგ-

ნი (500 გვერდი) გახლავთ აფხაზეთთან დაკავშირებულ საჭირობოლო პოლიტიკური და სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნარკვევების კრებული, რომელშიც პირუთენელად არიან წარმოდგენილი აფხაზეთისადმი როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად დამოკიდებული პოლიტიკოსები თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სქელტანიანი წიგნი კი არა, რამდენიმე წინადადება რომ დაბეჭდილიყო აღნიშნული ნაშრომიდან, ისიც კი საკმარისი იქნებოდა იმ არაადამიანების ანტიპრობლემური მენტალიტეტისა და მოღალატეობრივი ზრახვების გამოსაშკარავებლად, რომელთაც ეს მძათამკვლელი პროვოკაციული ომი წამოიწიეს აფხაზეთში. აი, თუნდაც ეს წინადადება: “სად გაგონილა ასეთი რამ: სამთავრობო ჯარები – გვარდია და მხედრობის იწყებენ ომს და, მიუხედავად უდიდესი სამხედრო უპირატესობისა, არ იღებენ არცერთ აფხაზურ სოფელს, აპარტახებენ პირითადად ქართულ დასახლებულ პუნქტებს, პირწმინდად ბარცვავენ და აჩანაგებენ, აწიოკებენ როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მოსახლეობას. მერე, დიდძალ შეიარაღებულთან ერთად, აბარებენ მოწინააღმდეგეს სამარცხველ გაგრას და “ვალდებულნი” გამოავლინებენ ჩინმენდლებით მეგრადამშენებულნი ბრუნდებიან სახლებში ისე, რომ გააფთრებული მტრის პირისპირ ტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გმირულად იცავდა აფხაზეთს” (გვ. 318-319). რა თქმა უნდა, ასეთი სასტიკად მამხილებელი სიტყვების ავტორი მიუღებელი იქნებოდა შევარდნაძისეული კრიმინოკრატიისათვის! ნაპო მესხიას ვაჟკაცობისა და რაინდული სულისკვეთების დასტური ისიც გახლავთ, რომ მან აღნიშნულ წიგნში ის პასკვილებიც შეიტანა, რომლითაც მას “უხვად ამარაგებდნენ” აფხაზეთის გამყიდველი ვაი-ქართველები და მათი დამქაშები. მაგრამ ამ პასკვილებს დროსული პასუხი გასცეს არა მხოლოდ ბატონმა ნაპომ, არამედ ქართლის ბედის მოზიარე ღირსეულმა ადამიანებმა ზაურ კვარაცხელიამ, იური პაპასუქამ, ზურაბ ერქვანიამ,

იური კაკაბამ, მამანტი ჯოლიამ, ბონდო ჯიქიამ, ლალო ქირიამ, ავთანდილ ჯორბენაძემ, პანაიოტის სტილიდისმა, დავით ჩიქოვანმა, ჯემალ გამახარამ, ალუ გამახარამ, ლორენცო შარანგიამ, გურამ ოდიშარიამ, რაფიელ გელანტიამ, თამაზ ჯანაშიამ, როლანდ კობალიანმა, შოთა ხეცურიანმა, ამ წერილის ავტორმა, სხვათა და სხვათა... დიახ, ეს გახლავთ წიგნი, რომელმაც, ეჭვსაგარეშე, უკვდავება არგუნა წილად მის ავტორს! ჩვენი უტყუარი მეგობრობის დასტური გახლავთ ის წარწერაც, რაც ბატონმა ნაპომ გაუკეთა ჩემთვის ნაჩუქარ წიგნს “ვის როგორ სტამბა აფხაზეთში”: “როლანდ ჯალაღანიას. ამ წიგნში შესული წერილების დიდ ნაწილს თქვენ იცნობთ – დაბეჭდილი იყო გაზეთ “ილორში”, რომელშიც თქვენ რედაქტორობთ. თქვენ ამით საბოლოოდ ამხილეთ შუბლისძარღვ-გაწვეტილი ვაიპატრიოტები, რომლებმაც დაგვაკარგინეს წალკოტი მხარე – ჩვენი ოდაბადე. თქვენ სხვაზე უკეთ იცით, ვის როგორ სტამბა აფხაზეთი და დღენიდად იღვწით ამ ტკივილის მოსარჩენად. დიდ საქმეს აკეთებთ – სამეგრელოს და, მასთანადამე, ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყლის და მომავლის საწუხარს ასე რუდუნებით რომ ელაციცებით გაზეთის მეშვეობით და ყოველდღიური საქმიანობითაც. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებ, გვარავდეს ილორის მადლი. დრმა პატივისცემითა და სიყვარულით, ნაპო მესხია”. ბატონი ნაპო, როგორც ხელმადლიანი დასტაქარი, საქართველოშიც კარგად გრძობს თავს, მაგრამ აფხაზეთი სტამბა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ განისვენებენ მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები, არამედ იმიტომ, აფხაზეთი მისი სულის ნაწილია, სული კი არასოდეს არ იყოფა. როცა წაიკითხავთ ნაპო მესხიას წიგნს “ვის როგორ სტამბა აფხაზეთში”, დარწმუნდებით, რომ იგი კი არ დიკარგა, არამედ ფარისევლურად გაიყიდა და იგი სწორედაც რომ ქართველებმა გაყიდეს! გაყიდეს ფულის მოსახვეჭად, ქონების

დასაგროვებლად, თანამდებობების დასაუფლებლად, საკუთარი უზადრუკო ყოფის გასაკომფორტებლად... ხეს უთქვამს, ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდა, ჩემი ჯიშისა რომ არ ეხმარებოდესო! განა სწორედ საშოვარს გადაგებულმა და ოქროთი თვალდავსილმა ვაიპატრელებმა არ გაგვიყიდეს ლახეთი, ბელოქანი, ზაქათადა, ალავერდი??? ამრიგად, აფხაზეთიც არ დაგვეკარგებოდა, სულმოკლე და ჯიბეგრძელ ქართველებს რომ არ გაეყიდათ! სწორედ ამგვარ ქართველებსა და მათ ბინძურ წილსვლებს ააშკარავედა მუდამ ბატონი ნაპო და ამიტომაც არ უყვარს იგი იმ ქართველთა პლეადას, რომელთა ხელდასხმით თუ “შესაშური” მუშტრული მონღოლების გაიყიდა აფხაზეთი და სამანაბლო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია! ვილაცას აუცილებლად უნდა ეთქვა სიმართლე აფხაზეთზე ჩემდა სასიხარულოდ (თუ ეს სიხარული ოდნავ მინც დამამამებს ჩვენი ოდაბადეს გასხვისებით გამოწვეულ ტკივილს) ეს სიმართლე ვაჟკაცურად დასტუქა ჩემმა დიდმა მეგობარმა და თანამებრძოლმა ნაპო მესხიამ! დიდი მადლობა ამისათვის შენ, ჩემო ძმოსო და უღალატო კაცო – ნაპო მესხიავ! მართალია ვერავი სენი ძალიან ვეიტყვებ, მაგრამ მასაც ჩვეული შემართებით უნდა ვებრძოლოთ და რაც შეიძლება უნდა გაიხანგრძლივოთ წუთისოფელი, რადგან თქვენნიანი ადამიანის დღეგებულება ნიშნავს სამშობლოსადმი გაღებულ დიდ ჯაფას, სიყვარულისა და პატივისცემის თესვას მოყვასის მიმართ, მტრისადმი რაინდულ დამოკიდებულებას, იმ ჭეშმარიტებისადმი ერთგულებას, რომლის დეფიცირტი აშკარად იგრძნობა საქართველოსადმი მოწვევტილი ტერიტორიების თაობაზე გამართულ პოლემიკებში. ამიტომ უნდა იცოცხლო დიდხანს, ძმოსო, ნაპო! მარად შენი პატივისცემელი, როლანდ ჯალაღანია, გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი









# დაპირფარებული ირლანდიელი მოწესრიგის



**ეს დასავლეთ სამყაროს რეალური წარსული გახლავთ, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო შუა საუკუნეებში, მაშინ, როცა საქართველომ კარგა ხნის წინ გამოიარა ლიტერატურული და პოლიტიკური რენესანსის ეპოქა. და დღეს ეს აღმავლობა ჩვენ გვასწავლიან ჰეუსუს, ამრეხით უყურებენ ჩვენს ადატ-წესებს, ყოველნაირად ცდილობენ კაცობრიობის ისტორიიდან ჩვენი უმდიდრესი წარსულის წაშლას. ამაში კი მათ აქტიურად ეხმარებიან ის ამერიკელები, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს აღმავლობაზე მონადირეებს ინდიელი მამაკაცის სკალპში 5 დოლარს უხდიდნენ, ინდიელი ქალის სკალპში - 3 დოლარს, ინდიელი ბავშვის სკალპში კი 1 დოლარს! აი, როგორი საზოგადოების წარმომადგენლები ვაქციეთ ქართველთა ძირითად ორიენტირად ვეროამერიკული ლიბერალტიზაციისაკენ მიმავალ დამღუპველ გზაზე!**

**გაზეთ "ილოროს" რედაქცია**

ბევრმა არ იცის, რომ ამერიკაში ჰყავდათ თეთრი მონებიც. სწორედ მათ დააწვით მხრებზე ახალი სამყაროს პირველი კოლონიათა მშენებლობების მთელი სიმძიმე (შავკანიანები მათ მოგვიანებით შეუერთდნენ) - ეს თეთრი მონები ირლანდიელები იყვნენ.

ისინი მონებად ჩამოჰყავდათ. ინგლისურ გემებს დიდი რაოდენობით "აღმავალი" გადამკვეთები ორივე ამერიკაში, ახი ათასობით მამაკაცი, ქალი და პატარა ბავშვებიც კი. აჯანყების ან ბრძანებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ სასტიკად სჯიდნენ.

არ არის საჭირო ყველა სისხლიან გარემოებათა ჩამოთვლა - ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით აფრიკელი მონებით ვაჭრობის ბოროტება. მაგრამ ახლა საუბარი განა აფრიკელ მონებზე? მეფეებმა ჯეიმზ მეორე სტიუარტმა (1685-1688) და მამამისმა ჩარლზ პირველმა (1625-1649) ირლანდიელთა დამონებით ბევრი რამ ჩაიდინეს მონობის დაკანონებისთვის. უახლოესი მეზობლების დეჰუმანიზაციის პრაქტიკას კი სათავე დაუდო ლორდ-პროტექტორმა ოლივერ კრომველმა (1653-1658). კრომველის დაშქობა ირლანდიაში ირლანდიელთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ გეოციტად იქცა. თუ 1641 წელს ირლანდიაში ცხოვრობდა 1,5 მლნ ადამიანი, 1652 წლისთვის 850 ათასი მცხოვრები დარჩა, ამასთან, მათგან 150 ათასი ინგლისელი კოლონისტი გახლდათ, ანუ ირლანდიელმა ხალხმა მოსახლეობის 50-56% დაკარგა.

ირლანდიელებით ვაჭრობა მაშინ დაიწყო, როცა ჯეიმზ მეორემ 30.000 ირლანდიელი ტუსადი ამერიკაში მონებად გაყიდა. მისმა 1625 წლის პროკლამაციამ დააკანონა ირლანდიელი პოლიტიკური პატიმრების საზღვარგარეთ გაგზავნა და მათი გაყიდვა ინგლისელი მოახალშენებლების ვესტ-ინდოეთში. XVII საუკუნის შუა წლებში ირლანდიელ მონებს ყველაზე მეტად ყიდდნენ ანტიგუასა და მონსერატში. შედეგად, მონსერატის მთელი მოსახლეობის 70%-ს ირლანდიელი მონები შეადგენდნენ. მაღელ ირლანდია გახდა "აღმავალი საჭონელის" უმსხვილესი წყარო ინგლისელი მოახალშენებისთვის, ანუ ახალი სამყაროს პირველი მონების უმრავლესობა თეთრკანიანები იყვნენ.

1652-1689 წლების პერიოდში სავარაუდოდ 50 000-ზე მეტი ირლანდიური წარმოშობის მამაკაცი, ქალი და ბავშვი ძალით გადაიყვანეს ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებში ბარბადოსზე და ვირჯინიაში პლანტაციებში მონებად სამუშაოდ. სხვა სამხედრო ტყვეებიც, ასევე პოლიტიკური დისიდენტები, დაპატიმრებული უელსისა და შოტლანდიის დაპყრობილ რეგიონებში - ყველანი მონებად გაგზავნეს ბარბადოსზე სამუდამო საცხოვრებლად. ყოველივე ამან საშუალება მისცა კრომველს მოემოწაოებინა ნებისმიერი მოწინააღმდეგე ელემენტი და ამასთან გაეჩინა კარგი შემოსავლის წყარო მათი მიყიდვით პლანტაციების მფლობელთათვის. ბარბადოსზე გადაიყვანა თეთრკანიანი პატიმრების წილი იმხელა იყო, რომ 1701 წლისთვის კუნძულზე არსებული დაახლოებით 25.000 მონიდან, 21.700 ევროპელი წარმოშობის იყო.

დღეს ბევრი ერიდება ირლანდიელი მონების ხსენებას ნამდვილი ტერმინით "მონა". მათთან დაკავშირებით იყენებენ ტერმინს "საკონტრაქტო მსახურები". თუმცა უმრავლეს შემთხვევაში XVII-XVIII საუკუნეებში ირლანდიელებს სწორედ მონებად, როგორც ჩვეულებრივ პირს ტყვეს იხსენიებდნენ. ამ დროს ვაჭრობა აფრიკელი მონებით მხოლოდ იწყებოდა.

XVII საუკუნის ბოლოს აფრიკელი მონა ძალიან ძვირი - 50 გირვანქა სტერლინგი ღირდა. ირლანდიელი მონა გაცილებით ნაკლები ღირდა - არაუმეტეს 5 გირვანქისა. თუ ირლანდიელ მონას პატრონი ამორჩებოდა, დადარავდა და სიკვდილამდე სტეშიდა - ეს დანაშაულებად არ ითვლებოდა. მისი სიკვდილი ზარალის მუხლში გადიოდა, თუმცა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ძვირი შავკანიანის მკვლელობა. ინგლისელი მონათმფლობელები ირლანდიელ ქალებს იყენებდნენ საკუთარი სიამოვნებისა და შემოსავლისთვის. მონების შეილება იმონები იყვნენ, რომლებიც ამრავლებდნენ თავისი ბატონის ქონებას. ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ირლანდიელი ქალი რაღაც გზით მიიღებდა თავისუფლებას, მისი შვილები ბატონის მონებად რჩებოდნენ. ამიტომ, ირლანდიელი დედები, გათავისუფლების შემთხვევაშიც კი იშვი-

ათად ტოვებდნენ შვილებს და მონობაში რჩებოდნენ.

ინგლისელები ფიქრობდნენ, უკეთ როგორ გამოყენებინათ ეს ქალები (ხშირად, უკვე 12 წლის გოგონები) შემოსავლის გასაზრდელად. მათ დაიწყეს ირლანდიელი ქალებისა და გოგონების შეჯვარება აფრიკელ მამაკაცებთან, რათა მიეღოთ სხვანაირი კანის ფერის მქონე მონები. ბარბადოსზე არსებული საზოგადოებრივი არქივები აჩვენებს, ზოგიერთი პლანტატორი იქამდე მივიდა, რომ დაიწყო რასების შეჯვარების პროცესის სისტემატიზება "საჯერო ფერმების" საშუალებით, შერეული რასის ბავშვების გამრავლების მიზნით. ახალი მულატები უფრო ძვირი ღირდნენ, ვიდრე ირლანდიელი მონები, რაც საშუალებას აძლევდა მოახალშენებს აღარ ყვიდათ აფრიკელი მონები და დაეხოზათ ფული. ირლანდიელი ქალებისა და შავკანიანების შეჯვარების პრაქტიკა რამდენიმე ათწლეული გრძელდებოდა და იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ 1681 წელს მიღებული იქნა კანონი "გასაყიდი მონების წარმოების მიზნით ირლანდიელი მონა-ქალებისა და აფრიკელი მონა-მამაკაცების შეჯვარების აკრძალვის შესახებ" - მოკლე, ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ შეწყდა, რომ ხელს უშლიდა მონებით მოვაჭრე კომპანიებს მოგების მიღებაში.

ბარბადოსისა და ანტიგუას დღევანდელი მოსახლეობა - ყავისფერი მულატები ძირითადად წარმოადგენენ წარსულში აფრიკელი ირლანდიელი ძალადობრივი შეჯვარების შედეგს.

ბარბადოსის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, სუპერვასკულაჟ რიანას ძარღვეში ირლანდიური სისხლიცაა - მისი მამა რონალდომ ფელტი ირლანდიელისა და აფრიკელის შთამომავალია.

დროთა განმავლობაში ბარბადოსის ირლანდიელ მონათა რაოდენობამ მკვეთრი კლება დაიწყო. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ნაკლებად მალევე ბევრი იღუპებოდა მიძიმე შრომის გამო და ასევე შავკანიანებთან რასობრივი შერევების შედეგად.

ინგლისი კიდევ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე აგრძელებდა ათობით ათასი ირლანდიელი მონის გადაზიდვას. მხოლოდ 1798 წლის ირლანდიელთა აჯანყების შემდეგ ათასობით ირლანდიელი მონა გაიყიდა ორივე ამერიკასა და ავსტრალიაში. ერთი იტალიური გემიდან კი ატლანტის ოკეანეში 1302 ცოცხალი მონა გადაყარეს საკვების მარაგის სიმცირის გამო.

ირლანდიელებმა შავკანიანთა თანასწორად, ხოლო XVII საუკუნეში მეტადაც, სრულად გამოსცადეს მონობის კოშმარი. მხოლოდ 1839 წელს გადაწყვიტა ინგლისმა სატანური გზიდან გადახვევა და მონათვაჭრობის შეწყვეტა. თუმცა ეს არ უშლიდა ხელს ინგლისელ მეკობრეებს გაგრძელებინათ იგივე საქმიანობა. თუმცა ახალი კანონი გახდა პირველი ნაბიჯი ირლანდიურ კოშმარულ სატანოვან დასრულების გზაზე.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თავისი უახლოესი მეზობლების მიმართ ამ ბოროტებას ინგლისელებმა მოუძებნეს გამართლება რასობრივი თეორიის მოხმობით. 1899 წლის ინგლისური ჟურნალი "ჰარპერს უიკლი" წერდა: "იბერიელები თავდაპირველად მიეკუთვნებოდნენ აფრიკულ რასას, რომელიც ათასობით წლის შემდეგ ესპანეთის გავლით გავრცელდა დასავლეთ ევროპაში. მათი შთამომავლების აღმოჩენა ხდება ყირღანებში ან დაკრძალვის ადგილებში, ამ ქვეყნების სხვადასხვა ნაწილებში. თავისი ქალები დაბალი, წინ გამოწეული ქვედაჩაბით. მათ მოაღწევს ირლანდიაში და შეეერთნენ ადგილობრივებს დასავლეთსა და სამხრეთში, რომლებიც სავარაუდოდ თავად წარმოადგენდნენ უმდაბლეს რასას და მოდიოდნენ ქვის ხანის ველურებისგან. ისინი, დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციის გამო, სიცოცხლისთვის ჯანსაღ ბრძოლაში არასდროს გამოუდგენიათ და ამრიგად, ბუნების კანონების თანახმად, მათ გაუთავისუფლეს ადგილი უმადლეს რასებს".

მაგრამ რატომ არაფერს ჰყვებიან ყოველივე ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და კერძო სკოლებში? რატომ არ არის ეს წიგნები ისტორიის შესახებ? რატომ ამბობენ ამის თაობაზე ასე იშვიათად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები? ნუთუ ასობით ათასი ირლანდიელი მსხვერპლი არ არის გახსენების ღირსი? თუ მათ ისტორიასაც იგივე უნდა დაეძარბოთ რაც მათ ბატონებს სურდათ? სრული გაქრობა, თითქოს ეს ყოველივე არასოდეს მომხდარა? ვერც ერთი დაზარალებულმა ირლანდიელმა ვერ მოახერხა დაბრუნებოდა მშობლიურ ნაპირებს, რათა მოეყოლა თავისი ტანჯვის შესახებ. ეს დაკარგული მონებია, ისინი, ვისაც დავიწყებთ ფარდა გადააფარა ისტორიამ და ჩასწორებულმა ისტორიის წიგნებმა.

დღევანდელი ბარბადოსის შავკანიან ადგილობრივთა შორის რჩება მომცრო თემი, რომელიც მოიცავს ირლანდიელი მონების შთამომავლებს. ირლანდიელ ყოფილ მონათა თემი წარმოადგენს ჯაჭვებით დაბორცული კელტი წინაპრების ტრაგიკული მემკვიდრეობის ცოცხალ მოწმობას. შავკანიანი ბარბადოსელები მათ "წითელ ფეხებს" ეძახიან. ეს იმთავითვე დამამცირებელი მეტსახელი იყო და წარმოადგებოდა პირველი თეთრკანიანი მონების წითლად დამწვარი კიდურებისგან, რომლებიც ვერ უძლებდნენ კარიბის ტროპიკულ კლიმატს.

ამჟამად თემი, რომელიც დაახლოებით 400 ადამიანს ითვლის, კუნძული ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს და წმინდა იოანეს ეკლესიის მრევლს წარმოადგენს. თემი ენერგიულად ეწინააღმდეგება რასობრივ შერევას მრავალრიცხოვან შავკანიან მოსახლეობასთან. ისინი თავს ძირითადად ირჩენენ ნატურალური სოფლის მეურნეობით და თევზაობით. ისინი წარმოადგენენ სილატაკემდე მიყვანილ ადამიანთა ჯგუფს თანამედროვე ბარბადოსზე.

## ემზარ ჯბერენია: რუსეთ-თურქეთის დაპირებული ურთიერთობა საქართველოზე ცუდად არ აისახება!

ინტერნეტსაიტ „ივერიონს“ აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ეკონომისტი ექსპერტი, ემზარ ჯგერენია ესაუბრა.

**– ბატონო ემზარ, დღეს პორტალ „ივერიონს“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეთ, რომ შესაძლოა რუსეთსა და თურქეთს შორის კრიზისი გადრმავედეს, რაც ბუნებრივია, ენგატიურად აისახება საქართველოზეც.**

**საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე მეზობელი სახელმწიფო საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია?**

**საბუნდოდ რომ ჩამოვყალიბდეთ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ორივე სახელმწიფოზე დამოკიდებულია, ხომ არ მოხდება ისე, რომ აქლებების ომში კოზაკი, ანუ საქართველო დაზარალდება?**

**– დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა, მაგრამ მე არ ვფიქრობ რომ ეს პროცესები საქართველოს დაზიანებს, არამედ, პირიქით**

**გარკვეული თვალსაზრისით ეს სარგებლობასაც მოუტანს ჩვენს ქვეყანას.**

დღეს, როცა რუსეთს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტის მიმწოდებელი თურქეთი, მას ასე რომ ვთქვათ „გაებუტა“, ჩვენ გაგვიჩნდა შანსი, რომ საჩვენოდ გამოვიყენოთ ეს სიტუაცია და დავიკავოთ რუსული ბაზრის ნაწილი. მაგალითად: თუკი ციტრუსების ძირითადი მომწოდებელი რუსეთისთვის იყო თურქეთი, დღეს ქართულ ციტრუსზე რუსეთის ტერიტორიაზე გაორმაგებული მოთხოვნა განდგება.

იგივე, გადამზიდების ბიზნესშიც – თუკი თურქეთი მძლავრად იყო წარმოდგენილი და თუ დღეს რუსეთში არ უშვებენ თურქულ მანქანებს, ჩვენ შეგვიძლია ისინი ქართული გადამზიდი მანქანებით ჩავანაცვლოთ.

არ ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს დაზარალდებს, არამედ პირიქით ჩვენ უნდა ვიყოთ ჩუმად და საჩვენოდ გამოვიყენოთ ის შანსი, რომელიც მოგვცეს!

**– ბრიფინგზე ასევე, განაცხადეთ, რომ**

**თურქეთი უფრო მეტადაა დამოკიდებული რუსეთზე ვიდრე რუსეთი თურქეთზე და გამოიქვიტება ვარაუდი, რომ ამ ეკონომიკურ ჭრილობაში თურქეთი ძალიან დაზარალდება. დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ ამ სიტყვებში?**

– სავარაუდო-ეკონომიკურ ურთიერთობებში თურქეთისთვის რუსეთი ვაჭრობის მეორე პარტნიორია გერმანიის შემდგომ. თურქეთი ენერგეტიკულად მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. ენერგომომარებულების კუთხით, 50%-მდე გაზი, რასაც თურქეთი მოიხმარს, რუსეთიდან მოდის, ხოლო 30%-მდე ნავთობპროდუქტები მოდის რუსეთიდან. რუსეთისთვის კი თურქეთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძალიან მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. რუსეთში შეტანილი პომიდვრების 80% თურქეთზე მოდის. ამიტომ, ეკონომიკურად თურქეთი მეტად დამოკიდებულია რუსეთზე, ვიდრე პირიქით.

**– რუსეთის მიერ რუსულ ბაზარზე არ შეშვებული თურქული საქონელი ხომ არ იპოვის ბაზარს საქართველოში და ხომ**

**არ მოხდება თურქული საქონლის ექსპანსია საქართველოში?**

და კიდევ: დღევანდელი მანიფესტის „დატყვევებული ტრიფურეტი“ ხომ არ დაბრუნდება თბილისში და ეს საქონელი ხომ არ განთავსდება იაფად საქართველოს ბაზარზე? როგორ აისახება ეს საქართველოს ბიზნეს გარემოზე და ქართველ მწარმოებლებზე?

– ქართული ბაზრის გარკვეული სექტორი თურქეთს უჭირავს და ამიტომ ამ შემთხვევაში, საქონელი ვერანაირად ვერ დარჩება საქართველოს ტერიტორიაზე. ტრანზიტის რეჟიმის შეცვლა რთულია და ეს საქართველოს პრობლემა არაა.

თურქული საქონლის ექსპანსია საქართველოში არანაირად არ მოხდება, რადგან თურქეთს თავისი სავაჭრო ნიშა უკავია.

ასე, რომ ეს ბიზნესგარემოზე ენგატიურად არ აისახება, გარდა იმისა, რომ, თუ თურქეთისგან განთავისუფლდებიან, ჩვენ შევძლებთ ექსპორტის გაზრდას!

**ესაუბრა მიქაელა შვილი**









სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია დაუნდობელი სიმატლე - მაიკ ტაისონის ავტობიოგრაფია



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მუდმივად მიწვევდა პორნის გადარჩენაზე ზრუნვა. ქედმაღალი ბიჭი იყო. ერთ სადამოს,ნიკაგოში საკალათბურთო გუნდის "ბულხის" თამაშზე წავედით.

ჩვენთან ერთად იყვნენ უოლტერ პეიტონი, ერიკი და ჯონი. ჯაკუზიანი ლიმუზინით მივედით,თეთრი ბეჭვის ქურქები გვეცვა. მე და ჯონი ტუალეტში წავედით, სადაც ერთმა პატარა ბიჭმა ჩემთვის ხელის ჩამორთმევა სცადა.

ჯონმა უთხრა: "გზიდან ჩამოგვეცაღე!" - და უხეშად უბიძგა ხელი. ეს მართლაც შეურაცხყოფა იყო. ბიჭი გაოგნებული იდგა.

- ახლავე მოიხადე ბოდიში და ყველაფერი დავივიწყეთ. თუ ამას არ გააკეთებ, დიდი პრობლემები შეგექმნება.

მაშინვე გავიხარე სიტუაცია. ეს დაბალი ბიჭი ისე იქცეოდა, რომ ცხადი იყო - რომელიღაც ბანდას ეკუთვნოდა.

როგორც იქნა, ჯონიც მიხვდა ამას, ბოდიში მოიხადა და ბიჭს ხელი გაუწოდა.

- მადლობა, სერ, - თქვა მან. შემდეგ ხელი ჩამომართვა და გადაამკიცნა.

როცა ტუალეტიდან გამოვედით, ამ ბიჭის გარშემო ორმოცდაათამდე მამაკაცი იდგა.

- გვიყვარხარ, ჩემპიონო! - დაიყვირეს ერთხმად.

მაშინ ვუთხარი პორნს, რომ უკვე დავი-ღალე მის საქმეებში ჩარევით და მისი დაცვით. მუდმივად მიწვევდა ვიღაცეების დამშვიდება, სიტუაციის მოგვარება იმ დროს, როცა საფუტქელზე ლულაა მიბჯე-ნილი. არადა, წესით, ეს მათ უნდა დამიცვან მე.

თავდაპირველად, თავად გამოვიდოდი საკუთარი პირადი მცველის როლში, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა კარგი იდეა. არ შეიძლე-ბოდა ადამიანების ცემა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ჩემგან ავტოგრაფია აღება

სურდათ. საბოლოოდ, დამიჭირავეს ნამდვილი პირადი მცველები. იმისთვის არა, რომ მე ვყოფილიყავი დაცული პუბლიკისგან, პირიქით, პუბლიკა უნდა დაეცვათ ჩემგან.

მეყვდა მეგობარი, სახელად ენტონი პიტ-სი. ერთად ვერთობოდით ლოს ანჯელესში. ვიცოდი, რომ პოტენციურად, ენტონის შეე-ძლო კარგი პირადი მცველი გამხდარიყო, რადგან ერთ სადამოს, ასეთი სცენის მოწმე გავხდი. საკალათბურთო გუნდის "ლეიკ-ერსის" თამაშზე პირველ რიგში ვისხედით.

და ერთმა უზრდელმა ფანმა, რომელმაც საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, წონასწორობა ვერ შეიკავა, ენტონის პირ-დაპირ თავზე დაახტა და ბოდიშიც არ მოიხადა. ენტონი წამოდგა და ეს ნაბიჯი პირდაპირ მოედანზე მოისროლა. "ჯანდაბა!" - წამოვიყვირე მე. თამაში გრძელდებოდა, ეს ბიჭი კი უმოძრაოდ იწვა მოედანზე. პოლიცია მოვიდა მის წასაყვანად. მისი უმოძრაო სხეული მოედნიდან გაათრევს ისე, რომ თამაში არ შეჩერებულა!

ერთი შემთხვევის შემდეგ, რომელსაც ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლუბში ჰქონდა ადგილი, ენტონიმ გადაწყვიტა - ნამდვილი პირადი მცველი მჭირდებოდა. მასთან და ჩემს თეთრ მეგობართან ჯონისთან ერთად კლუბის გვერდით ვიდექი და გოგონებს ველაპარაკებოდით. მოვიხიდე ლამაზი ქალები მთელი ბრბო, რომ უცებ ვიღაცის ხმა მომესმა:

"მაიკ ტაისონის, დედაც...!" ამის შემდეგ, მთელი კლუბი გარეთ გამოვიდა. ხელი ვსტაცე გოგონას, რომელსაც იმ მომენტში ველაპარაკებოდი და ჩემი ლიმუზინისკენ გავიქცეთ. და უცებ, გასროლის ხმა გაე-იგონე. იმ ბიჭს პისტოლეტი ჰქონდა და მესროდა, მაგრამ ამიტოვდა, თუმცა გოგონას ფეხში მთარტყა. იმდენად ეგოისტი ვიყავი, რომ ამ ყველაფრის შემდეგაც, ცდილობდი დატრიალი გოგო მანქანაში შეგეგლო და შინ წამეყვანა. მისმა მეგობარმა დაიყვირა:

"მას შენს გამო ესროლეს, მაიკ! შენ გიმიზნებდნენ!" სასწრაფოდ იქაურების დატოვება მიწოდდა, მაგრამ მძლოლი საჭეს-თან არ აღმოჩნდა. უკანა შუშაში გავიხედე და დავინახე, რომ ის ქუჩის კუთხეში იმალებოდა. აი, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ენტონიმ, ჩემი პირადი მცველი გამხდარიყო. გოგონა დავეტოვეთ და გავიქცეთ. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მას ჩემთვის ხმა აღარ გაუცია.

გაუთავებელმა სმამ და გართობამ ის გამოიწვია, რომ დეკემბერში ჩემი წონა 255 ფუნტამდე (დაახლოებით 115 კილოგრამი) ავარდა. შემდეგი ბრძოლა ფრენკ ბრუნოს-თან მქონდა, რომელიც 1989 წლის თებერვლისთვის იყო დანიშნული, მე კი მწვრთნელის გარეშე დავრჩი.

საქმე ისაა, რომ კვეინი გაზეთებში ყოველთვის ათასგვარ სისაძაგლეს ლა-პარაკობდა ჩემს შესახებ, ამტკიცებდა, რომ არ ვაცნობიერებ იმას, რასაც ვაკეთებ. ის დონ კინგის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ყოველთვის კეიტონს უჭერდა მხარს.

ფუიქრობ, დონის მიმართ ზიზღმა დააბრ-მავა. შეიძლება ასეც ითქვას - კვეინმა თავად გადააყენა საკუთარი თავი. მას არ უნდოდა ჩვენთან ყოფნა. მისი სურვილი იყო - კეიტონის მთელი გუნდი დაბრუნებ-ულიყო. ვაპირებდით მის დაქირავებას ძველი პირობებით, მაგრამ არ მოისურვა. შემდეგ კი სასამართლოში მიხივლა.

ახალ მწვრთნელად დავიქირავე კატკილში ჩემი ოთახის მეზობელი ჯეი ბრაიტი. მიწოდდა ჯეის ფული ემოვნა, რადგან ის კასის ოჯახის ნაწილი იყო. ასევე დავიქირავეთ აარონ სნოუელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტიმ უიზერ-სპუნის მწვრთნელი იყო.

ტიმმა მოგვიანებით მითხრა, რომ სნოუელი მხოლოდ მისი მეწველე იყო სირბილის დროს, ასევე მის მოვალეობებში შედიოდა რინგის კუთხეში წყლის მიტანა. მაგრამ ეს არ მაინტერესებდა. მე ხომ ისედაც ჩხუბის დმერთი ვიყავი! ჩემი მეტო-ქეები უნდა მომკვლარიყვნენ მხოლოდ იმის გაფიქრებით, რომ ჩემთან უწყველად ჩხუბი.

სანამ ვარჯიშს შევუდგებოდი, იურიდი-ული ხასიათის რამდენიმე საკითხი უნდა გადამეწყვიტა. იანვარში, ერთმა გოგომ სასამართლოში მილიონიანი სარჩელი შეი-ტანა. ის იმაში მადანაშაულებდა, რომ "ბენტლის" დამის კლუბში უკანალზე ვტაცე ხელი. ენტონიმ, რომელიც მაშინ ჩემს გვერდით იყო, მირჩია ასეთი რამ მეთქვა - მას უკანალზე არ შევხებივარ, უბრალოდ, მის უკან ვიდექი და შემთხვევით ზემოდან დავეცი. ენტონი ყოველთვის იგონებდა სიმართლესთან მიახლოებულ გამართლებას. ერთხელ, "ბენტლიში" ვიღაც გოგოს ისევე უკანალზე შევაფეხე ხელი და ის შემობრუნდა. ენტონიმ დაიყვირა:

- არა, არა. ეს მე ვიყავი. ბოდიშს

გისხდით. მომეჩვენა, ჩემი ყოფილი მეგობარი იყავით.

ამ გოგოს თავიდან მოშორება შეძლო, მაგრამ პირველი სასამართლოში მიმა-თრევდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მეგობარი გოგო, რომელიც მაშინ მის გვერდით იყო, მოწმედ გამოვიდოდა. სასამართლომდე ერთი დღით ადრე, ორივეს შევხვდი და ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ მისი მეგობარი, რომელიც მოწმე უნდა ყოფილ-ყო, ჩემი ნაცნობი ყოფილა.

- ესეც გოგონა, რომელიც მოწმედ უნდა გამოვიდეს, - ვუთხარი მას და მიგუხალოვ-დი.

- ნუ ეტებ უსიამოვნებებს! - გამაფრთხ-ილა მან.

- სულაც არ ვეტებ, - ვუპასუხე მშვილად. - შენზე არ ვბრაზობ, არამედ შენს მეგო-ბარზე. მე ხომ ცუდი არაფერი გამიკეთუ-ბია.

გავიფიქრე - თუ ჩემს ნაცნობთან სექსი მექნებოდა, ის ვეღარ გამოვიდოდა ჩემს წინააღმდეგ მოწმედ.

- იქნებ ჩემი "როლს როსით" გავი-სეირნოთ?

ჩემმა სტრატეგიამ იმუშავა. მან უარი თქვა მოწმის სტატუსზე.

იანვარში ასევე მიწვევდა სასამართლოში გამოცხადება ჩვენების მისაცემად. კეიტონი დონ კინგს უჩიოდა. კეიტონის აღვოკატი ცნობილი ტომას პუნიო იყო. მან პინქსთან ბრძოლის პონორარზე მკითხა, და მე ვუპა-სუხე, რომ არ მასხოვს - გადამიხადეს თუ არა. როცა პუნიომ დაამტკიცა, რომ სრუ-ლად ჩამირიცხეს 12 მილიონი, ვერ გავ-იხსენე სად წავიდე ეს თანხა. იმ დროს, საკუთარი ბუღალტერიც კი არ მყავდა და დონის ბუღალტერთან ვიჭერდი საქმეს.

არ მყავდა არავინ, ვინც მეტყობდა - როგორ დამეცვა თავი. ყველა მეგობარი ჩემზე იყო დამოკიდებული. მე მყავდა ისტორიაში ყველაზე უიღბლო და უმაქნისი მეგობრე-ბი.

ჩვენების მიცემამ მეტად საინტერესო განვითარება მიიღო მაშინ, როცა პუნიო შემეკითხა ჯიმიზე და მართვის პირობების კორექტირებულ კონტრაქტზე, რომელსაც იქამდე მოვაწერე ხელი, სანამ ჯიმი მოკვლე-ბოდა.

(გაგრძელება იქნება)

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქ-ტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახ-ალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუს-თაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფის-ში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენლები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

გამოვიდა შურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი (№19), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი ბიორბი სიზინავა. შურნალი შეგიძლიათ შეი-ძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1. ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შე-გიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრე-ლო“-ს წარმომადგენლობაში. ტელ. 238-03-11 შურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალთა მოუპოო მიი ჯარ კილვა მკლავი ნაშიონალური ფარმაცოთიკის, რომალიხ მის დაიკრავს სელიოლუა და კვლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთალოლის სამსახურში